სოციალური ინფრასტრუქტურა და მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილები

ე. ივანიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი,
სტუ-ს შესყიდვების
განყოფილების უფროსი

სოციალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ელემენტების კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სფეროს ფუნქციონირების, განვითარებისა და კვლავწარმოების ზოგად პირობებს. ის მოიცავს ჯანდაცვას, განათლებას, კულტურას, ფიზიკურ კულტურას, სპორტს და ტურიზმს და სხვა სფეროებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნიან საწარმოებსა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის დაწესებულებებს, რომელთა მოწოდებაცაა მოსახლეობის კულტურული, საგანმანათლებლო, სამედიცინო, სულიერი და სხვა სახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ასევე მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების შექმნის პროცესის დასრულება, მათი მომხმარებლამდე მიტანა.

სოციალური ინფრასტრუქტურა უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის, მისი სულიერი სამყაროს ფორმირებაზე, კულტურაზე, ცხოვრების წესზე, უზრუნველყოფს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციისკენ მზაობას და ა.შ. სოციალური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა და განვითარების დონე არსებითად განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხს. ამიტომ, სოციალური ინფრასტრუქტურის სახელწიფო რეგულირებას განსაკუთრებული როლი ენიჭება სოციალური სფეროს სახელმწიფო რეგულირებაში და მთლიანად ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში.

განვიხილავთ რა სოციალურ ინფრასტრუქტურას, როგორც სახელმწიფო რეგულირების ობიექტს, უნდა ავღნიშნოთ შემდეგი: დარგებს, რომლებიც აყალიბებენ სოციალურ ინფრასტრუქტურას, გააჩნიათ მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკური თავისებურებები. ისინი განსხვავდებიან მათ წინაშე მდგარი ამოცანებით, მიზნებით, მისი შემადგენელი დაგროვილი პოტენციალით. ეკონომიკისა და მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელის სოციალური სფეროს-სახელმწიფო რეგულირების ჩარჩოებში საქმე ეხება მათ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც წარმოადგენს სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საშუალებების ერთობლიობას: მატერიალურ-საგნობრივ შემადგენელი (დაწესებულებების ქსელი, მათი მოწყობილობა და აღჭურვილობა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა), საკადრო რესურსები და მათი მხარდაჭერის (მაგალითად, საინფორმაციო მხარდაჭერის) სისტემა, ფინანსების და მართვის ორგანოები. ეკონომიკური პოტენციალი ხასიათდება სამომხმარებლო ბაზრის (მოთხოვნა, მიწოდება) არსებობით, კონკურენციით.

ეკონომიკური პოტენციალი, მისი მდგომარეობა, შემდგომი ზრდისა და განმტკიცების შესაძლებლობები ძირითადად განსაზღვრავენ დარგის განვითარებას. სწორედ ეკონომიკური პოტენციალი წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების ობიექტს.

სოციალურ ინფრასტრუქტურაში შემავალი დარგების თავისებურებებიდან და მათ მიერ გაწეული მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე დარგები შესაძლებელია გაერთიანებული იქნეს ორი კომპლექსის სახით:

- სოციალურ-კულტურული კომპლექსი;
- სოციალურ-სამომხმარებლო კომპლექსი.

სოციალურ-კულტურულ კომპლექსს განეკუთვნება: განათლება, კულტურა, ჯანდაცვა, ფიზკულტურა და სპორტი, სოციალური მომსახურება. ეს დარგები გათვალისწინებულია ფიზიკურად და სულიერად მდიდარი ადამიანის ჩამოყალიბებისთვის.

სოციალურ-კულტურული კომპლექსის შემადგენლობაში შედის საკუთრების სხვადასხვა ფორმის დაწესებულებები და ორგანიზაციები. ასევე შეგვიძლია გამოვყოთ სახელმწიფო და წესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის სუბიექტების საკუთრებას, საუწყებო დაქვემდებარების დაწესებულებები და ორგანიზაციები და კერძო პირებისა და სამეწარმეო სტრუქტურების მიერ წარმოქმნილი დაწესებულებები და ორგანიზაციები. მათ შემადგენლობაში ყველაზე მეტი ხვედრითი

წილი მოდის სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.

დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმოებას და მოსახლეობამდე მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების მიტანას, შედიან სოციალურ-სამომხმარებლო კომპლექსის შემადგენლობაში. მათ განეკუთვნება: ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება, საცხოვრებელ-კომუნალური მეურნეობა.

სოციალური ინფრასტრუქტურის დარგების რეგულირება ხორციელდება ქვეყნის ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ამასთან, სულ უფრო ფართოვდება ადგილობრივი ორგანოების მიერ გადაჭრადი სოციალური პრობლემების წრე.

სოციალურ-კულტურული კომპლექსის მართვის ცენტრალურ ორგანოებს განეკუთვნება: საქართველოს განათლების; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; კულტურისა და ძეგლთა დაცვის; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროები.

თანამედროვე საზოგადოების ინდუსტრიულიდან საინფორმაციოზე გადასვლა განაპირობებს განათლების როლისა და სოციალური მნიშვნელობის ზრდას. ადამიანისთვის სულ უფრო აუცილებელი ხდება ცოდნის, უნარების, ჩვევების შეძენა, რათა უზრუნველყოს საზოგადოებაში საკუთარი მდგომარეობოს სიმტკიცე. ეს ეხება, არა მხოლოდ, მის დღევანდელ პრაქტიკულ საქმიანობას, არამედ მომავალსაც. განათლება წარმოადგენს საკადრო პოტენციალის ინტელექტუალური, კულტურული, პროფესიონალური დონის ამაღლების ძირითად წყაროს.

როგორც სოციალურ-კულტურული კომპლექსის დარგი, განათლება წარმოადგენს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სიტემას, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას. ის მოიცავს საგანმანათლებლო საქმიანობის ყველა სახესა და ფორმას, რომელიც ხორციელდება განათლების სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ.

საქართველოში განათლების ეროვნული სისტემის ძირითად პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- განათლების ეროვნული კულტურული საფუძვლის ჩამოყალიბება;
- განათლების ორიენტაცია თავისუფალი შემოქმედებითი და ზნეობრივი პიროვნების აღზრდაზე;
- ერისა და ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური სიჯანსაღის განმტკიცება;
- განათლების დეცენტრალიზაცია და ჰუმანიზაცია;
- განათლების ურთიერთქმედება მეცნიერებასთან, წარმოებასთან, სოციალურ-სულიერ სფეროსთან;
- განათლების რეგიონალიზაცია;
- სწავლებისა და აღზრდის ეკონომიკური მიმართულება;
- განათლების ეროვნული სისტემის ინტეგრაცია მსოფლიოს საგანმანათლებლო სივრცეში.

განათლების, როგორც სოციალური სისტემის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

- დაგროვილი ცოდნის გადაცემა;
- ადამიანური კულტურის ფასეულობების გათავისება;
- გავლენა სოციალურ მობილურობასა და საზოგადოების სოციალურ-პროფესიონალური სტრუქტურის ფორმირებაზე;
- მონაწილეობა პიროვნების სოციალიზაციის პროცესებში და სოციალური გამოცდილების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა.

მოსახლეობის მოთხოვნების შესაბამისად, ქვეყანაში შექმნილია საშუალო პროფესიული განათლების საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო ქსელი და უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემა.

საქართველოში განათლების სფეროში ძირითადი სოციალური გარანტია-ესაა შესაძლებლობა ყველა მოქალაქემ მიიღოს უფასო საშუალო განათლება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე.

საქართველოში განათლების პროცესების რეგულირება ხორციელდება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, მათ შორის მინისტრთა კაბინეტის, განათლების სამინისტროს, ადგილობრივი მართვისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ.

განათლების სფეროში მინისტრთა კაბინეტი ახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

- განსაზღვრავს სახელმწიფო მოთხოვნებს განათლების მიმართ და ადგენს მათი უზრუნველყოფის კონტროლის წესს;
- ამტკიცებს დებულებებს სასწავლო დაწესებულებებისა და განათლების ორგანიზაციების შესახებ, განსაზღვრავს მათი შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის წესს;
- ამტკიცებს განათლების შესახებ დოკუმენტების ნიმუშებს და მათი გაცემის წესს;
- განსაზღვრავს დაფინანსების,მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და სასწავლო დაწესებულებებისა და განათლების ორგანიზაციების ანგარიშგების, მათი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების წესს, მოსწავლეებისა და სტუდენტების, ასევე სხვა კატეგორიის მოსწავ-

ლების, განათლების სისტემის თანამშრომლების სოციალური დაცვის წესებსა და ნორმებს.

საქართველოს განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

• სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას განათლების დარგში, სპეციალისტების აღზრდასა და მომზადებას, ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს განათლების სფეროში;

• ამტკიცებს ტიპურ სასწავლო გეგმებსა და მოთხოვნებს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მიმართ, ახდენს სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდური მასალების გამოცემის ორგანიზებას;

• განსაზღვრავს განათლების დაწესებულებების დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ნორმატივებს გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებებისა და რესურსების ფარგლებში;

• ქმნის განათლებისა და სასწავლო დაწესებულებებს, ახდენს მათ რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, არეგისტრირებს მათ სტატუსს;

• ახორციელებს განათლებისა და ყველა სასწავლო დაწესებულების საქმიანობის სასწავლო-მეთოდურ ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას ქვეყნის ტერიტორიაზე;

• აანალიზებს დარგის მდგომარეობას და პროგნოზს უკეთებს მის განვითარებას.

მართვის ადგილობრივი ორგანოები:

• უზრუნველყოფენ განათლების განვითარებას რეგიონების თავისებურებების, მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, ასევე განსაზღვრავენ სამუშაო კადრებისა და სპეციალისტების მომზადების სტრუქტურასა და სახეს;

• ქმნიან სასწავლო და სხვა სახის განათლების წარმონაქმნებს დადგენილი წესით, ახდენენ მათ რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, არეგისტრირებენ მათ სტატუსს.

საქართველოში განათლების განვითარების სახელმწიფო მართვის ორგანოების საქმიანობა უზრუნველყოფილია და ხორციელდება სხვადასხვა ფორმისა და მეთოდის მეშვეობით.

განათლების განვითარების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დაგეგმვა, პროგრამირება და პროგნოზირება.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზებსა და გეგმებში ასახვას პოულობს განათლების ეროვნული სისტემის განვითარების წინაშე მდგარი მიზნები და ამოცანები, დარგის განვითარების მახასიათებელი მაჩვენებლების სისტემა, გამოყოფილი სახელმწიფო რესურსები.

დაგეგმვა და პროგნოზირება ასევე ხორციელდება ზოგადი, პირველადი პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ჭრილში.

ზოგადი და პირველადი პროფესიულ-ტექნიკური განათლების დაგეგმვისა და პროგნოზირების დროს ამოდიან მოსწავლეთა კონტინგენტიდან, რომელიც დევს ყველა სხვა მაჩვენებლის საფუძველში (სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებების, კლასების, პედაგოგიური კადრების ქსელი და ა.შ.). ფინანსური, მატერიალური და შრომითი რესურსების მოთხოვნილება დასაბუთებულია დარგში მოქმედი ნორმებითა და ნორმატივებით.

განათლების შესაბამისი დონის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ:

• სახელმწიფო აკრედიტაცია, რომელიც ადასტურებს საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფო სტატუსს, მომზადების ხარისხის შესაბამისობას საგანმანათლებლო სტანდარტების მოთხოვნებთან;

• საგანმანათლებლო დაწესებულების ატესტაცია, როგორც სახელმწიფო-საზოგადოებივი კონტროლი საგანმანათლებლო საქმიანობაზე და სწავლებისა და აღზრდის ხარისხისა და შინაარსის სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაზე;

• ლიცენზირება (საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, რომელიც იქმნება სახელმწიფო მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ, გაიცემა საგანმანათლებლო საქმიანობის წარმოების ლიცენზია);

• განათლების განვითარებისა და დაწესებულებების შემადგენელის დაფინანსება.

საქართველოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე განათლების სისტემის მიმართ სულ უფრო მეტი მოთხოვნა არსებობს. მან უნდა უზრუნველყოს მისაღები ცოდნისა და ჩვევების საზოგადოების, ეკონომიკის, ტექნოლოგიებისა და ტექნიკის სფეროში სწრაფად ცვალებად მოთხოვნებთან. ექსპერტთა შეფასებით, პერსპექტივაში განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის ერთადერთი კონკურენტუნარიანი უპირატესობა არის განათლებული და შრომითი საქმიანობისთვის კარგად მომზადებული ადამიანების „წარმოება". ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ დარგის მართვის სისტემაში უნდა იყოს ჩართული ეფექტური საორგანიზაციო და ეკონომიკური მექანიზმები, რომელთაც ძალუძთ სპეციალისტების მომზადების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფა. მარტივად

რომ ვთქვათ, საქმე ეხება განათლების სისტემის მოდერნიზაციას, რომლის მიზანიც მდგომარეობს მისი ხარისხის უზრუნველმყოფელი პირობების შექმნაში, კონკურენტუნარიანობასა და წვლილის შეტანაში მოდერნიზებად ეკონომიკასა და ინოვაციურ განვითარებაში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- განათლების სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა თანამედროვე მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევების შესაბამისად;
- განათლების შინაარსისა და სტრუქტურის არსებული მოდერნიზაცია, მათი შესაბამისობაში მოყვანა განვითარებადი ეკონომიკის მოთხოვნებთან, შრომის ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნასთან;
- სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებითი განახლება;
- თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა საგანმანათლებლო პროცესის ყველა დონეზე, ინოვაციური პრინციპებისა და მიდგომების ფართო დანერგვა საგანმანათლებლო პროცესში;
- წარმოებას, მეცნიერებასა და განათლებას შორის ინტეგრაციის განმტკიცება;
- მაღალეფექტური უწყვეტი განათლების ორგანიზება.

განათლების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა იქცეს ტექნოლოგიური მოდერნიზაცია - სასწავლო დაწესებულებების ინფორმატიზაცია, უახლესი საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება, საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის განახლება,მათი ჩართვა ინტერნეტის გლობალურ ქსელში და ლოკალურ საინფორმაციო ქსელებში, მათი აღჭურვა თანამედროვე მოწყობილობით, ხელსაწყოებით, მასალებით, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლებასა და ასევე სასწავლებლის მეცნიერების მხარდაჭერას.

საერთო საშუალო განათლების ეფექტური ფუნქციონირება და განვითარება მოითხოვს საერთო საშუალო განათლების სისტემის სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის მიზანმიმართულ განვითარებას, რაც უკავშირდება ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ეფექტურობის ამაღლებას და მიღებული შედეგების საგანმანათლებლო პრაქტიკაში დანერგვას. ეს, პირველ რიგში, ეხება საერთო საბაზო და საერთო საშუალო განათლებას, რომელთაც სჭირდებათ ახალი თაობის სასწავლო მეთოდური კომპლექსების შემუშავება და დანერგვა, რაც მოიცავს ელექტრონულ სასწავლო გამოცემებს.

კარდინალურ გაუმჯობესებას საჭიროებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზა.

პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების სისტემა საჭიროებს სამუშაო კადრებისა და სპეციალისტების მომზადების სტრუქტურისა და მოცულობის სრულყოფას ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში სტრუქტურული ცვლილებების გათვალისწინებით, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების შინაარსის შესაბამისობაში მოყვანას თანამედროვე მუშახელის, სპეციალისტების ხასიათსა და შინაარსში ცვლილებებთან, პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებას, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დავეუფლოთ თანამედროვე ტექნიკას და წარმოებაში დანერგილ ახალ ტექნოლოგიებს.

აუცილებელია პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო-სპეციალური განათლების მიმღებთა და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტთა სოციალური მხარდაჭერის გაძლიერება.

საქართველოში უმაღლესი განათლების განვითარება უნდა მოხდეს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიის შესაბამისად და ის უნდა იყოს მიმართული განათლების ხარისხის შემდგომ ამაღლებაზე, რამაც უნდა უზრუნველყოს მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მომზადება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე.

ეკონომიკის რეალური სექტორის დარგები უზრუნველყოფილ უნდა იქნეს უმაღლესი განათლების მქონე კადრებით ორგანიზაციადამკვეთის მხრიდან სპეციალისტებზე მოთხოვნის გათვალისწინებით. მომზადების მოცულობა და სტრუქტურა კორექტირებულ უნდა იქნეს შრომის ბაზარზე კონკრეტული სპეციალისტების დეფიციტის ან სიჭარბის გათვალისწინებით. აქტუალური რჩება ეკონომიკის რეალური სექტორის უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებით უზრუნველყოფა სამშენებლო, ენერგეტიკული, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებზე.

საგანმანათლებლო პროცესში სპეციალისტების მომზადების პრაქტიკული შემადგენელის გაძლიერების მიზნით სულ უფრო უნდა

იყოს ჩართული კადრების დამკვეთი ორგანიზაციები. განათლების პრაქტიკული მიმართულების გაძლიერებას მისი ფუნდამენტალობის შენარჩუნებისას ხელი უნდა შეუწყოს პრაქტიკულ-საორიენტაციო მაგისტრატურის შემოღებამ.

გეგმაზომიერად უნდა გაფართოვდეს საგანმანათლებლო მომსახურებების ექსპორტის მოცულობა.

ამ დროისთვის არსებითად ოპტიმიზირებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ქსელი. კანონმდებლურად და ნორმატიულად განმტკიცებულია უმაღლესი განათლების ორსაფეხურიანი სისტემა, რომელიც სტრუქტურულად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებსა და ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს.

ჯანდაცვა სოციალური სფეროს უმნიშვნელოვანესი შემადგენელია, რომელიც ახლოსაა ადამიანებთან და მოიცავს ძირითად პასუხისმგებლობას მოქალაქეთა სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანმრთელობაზე, მოსახლეობის ავადობის შემცირებასა და პროფილაქტიკაზე.

ჯანდაცვის ქვეშ იგულისხმება სამედიცინო ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია დაავადებათა პროფილქტიკაზე, სამედიცინო დახმარების გაწევასა და საზოგადოებრივი ჰიგიენისა და სანიტარიის დაცვაზე.

საქართველოში უკანასკნელ წლებში ადგილი აქვს ჯანდაცვის ორგანიზაციების საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლების დადებით დინამიკას – აღინიშნა შობადობის მატება, ჩვილებისა და დედების, ბავშვთა სიკვდილიანობის, ინვალიდობის, დაავადებების დროს ოპერაციის შემდგომი ლეტალობის შემცირება და სხვა დადებითი ტენდენციები. მიღებულია ზომები პროფილაქტიკური მიმართულების გაძლიერების კუთხით დარგის მუშაობაში და მოსახლეობის დისპანსერიზაციის გაფართოების მხრივ. სახელმწიფო პროგრამების კომპლექსის შესაბამისად გაგრძელდა მუშაობა საოპერაციო დარბაზებისა და რეანიმაციის ცენტრების, პერინატალური ცენტრების, ქვეყნის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრების, სოფელში განთავსებული ჯანდაცვის დაწესებულებების რეკონსტრუქციის, რემონტის, გადაიარაღების კუთხით.

ჯანდაცვის მართვა წარმოადგენს პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს ჯანდაცვის სისტემის ფუნქციონირებას.

ჯანდაცვის განვითარების მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, რომელიც მოიცავს შინაარსობრივად და მიმართულების მხრივ განსხვავებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი, სოციალური, სამეცნიერო, სამედიცინო, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიის საწინააღმდეგო ხასიათის ზომების მიღებას,რომლებიც უზრუნველყოფენ თითოეული ადამიანის:

- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას;
- მისი ხანგრძლივი და აქტიური სიცოცხლის შენარჩუნებას;
- მისთვის სამედიცინო დახმარების გაწევას ჯანმრთელობის დაკარგვის შემთხვევაში.

ჯანდაცვის სახელმწიფო რეგულირება ხორციელდება სახელმწიფო მართვის ორგანოების სისტემის მეშვეობით:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- რეგიონული და ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები.

საქართველოში ჯანდაცვის მართვის სისტემაში ძირითად რგოლს წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც ასრულებს შემდეგ უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს:

- მოსახლეობის სხვადასხვა კონტინგენტისთვის მედიკო-სანიტარული დახმარებისა და დაავადებების პროფილაქტიკის სტრატეგიული დაგეგმვა;
- კონკრეტული პროგრამების მომზადება და რეალიზაცია ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და მასობრივი ფიზიკური კულტურის სფეროში;
- მიზნობრივი პროგრამების შემუშავება ოჯახის დაცვის კუთხით, ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, მოსახლეობის სამედიცინო კულტურის განვითარება;
- მოსახლეობის მხრიდან მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე უარყოფითი გავლენისგან ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა სახის დანაკარგების შესახებ ინფორმაციის წვდომა;
- ერთიანი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების, სამედიცინო დახმარების გაწევის და მათ დაცვაზე კონტროლის უზრუნველყოფის სტანდარტების დადგენა;
- ღონისძიებების კომპლექსის განხორციელება ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორებისგან გარემოს დაცვის კონტროლის კუთხით;
- სახლებში, დასახლებულ პუნქტებში მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრების კონტროლის უზრუნველყოფა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმატივებისა და მოთხოვნების შესაბამისად;
- ღონისძიებათა სისტემის შემუშავება ჯან-

მრთელობისთვის უსაფრთხო წყალმომარაგების, კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის კუთხით;

• ადამიანის სამრეწველო საქმიანობის წარმოების მავნე ფაქტორებისგან დაცვის კონტროლი;

• სამინისტროებისა და უწყებების საქმიანობის კოორდინაცია მოსახლეობის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ნაწილში, კომპლექსური გამაჯანსაღებელი პროგრამების რეალიზაცია და ა.შ.

მმართველობის ადგილობრივ დონეზე წყდება ჯანდაცვის დაწესებულებების ფუნქციონირებასთან და მათ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ჯანდაცვის განვითარების სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდების (დაგეგმვა, პროგნოზირება, ფინანსური რეგულირება, ადმინისტარციული და სამართლებრივი ღონისძიებები და ა.შ.) ერთობლიობაში განსაკუთრებული როლი ენიჭება დაფინანსებას.

დღეისათვის დაფინანსება რჩება უმნიშვნელოვანეს პრობლემად ქვეყნის ჯანდაცვის განვითარებაში.

ჯანდაცვის განვითარებაში არსებითი როლი უნდა ითამაშოს სამედიცინო დაზღვევამ, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს პაციენტების ინტერესთა დაცვა, არა მხოლოდ სამედიცინო დაწესებულებების, არამედ სადაზღვევო კომპანიების მხრიდანაც. სადაზღვევო შენატანების ოდენობა უნდა იყოს საკმარისი მოსახლეობისთვის ხარისხობრივად მაღალ დონეზე მომსახურების გასაწევად.

გარდამავალ პერიოდში სოციალური სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს სოციალური სფეროს დარგებისა და საქმიანობის სახეების ფუნქციონირების რეგულირებას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ. იგი მოიცავს პრინციპების, მეთოდების, სტანდარტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების დადგენას, საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებების გატარებას, საფინანსო–საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო და სახელფასო პოლიტიკის რეალიზაციის ისეთი მექანიზმების დამუშავებას, რომლებიც სოციალური სფეროს გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ. იგი მოიცავს პრინციპების, მეთოდების, სტანდარტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების დადგენას, საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებების გატარებას, საფინანსო–საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო და სახელფასო პოლიტიკის რეალიზაციის ისეთი მექანიზმების დამუშავებას, რომლებიც სოციალური სფეროს გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

დასკვნები

სოციალური ინფრასტრუქტურა წარმოადგენს ელემენტების კომპლექსს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალური სფეროს ფუნქციონირების, განვითარებისა და კვლავწარმოების ზოგად პირობებს. ის მოიცავს ჯანდაცვას, განათლებას, კულტურას, ფიზიკურ კულტურას, სპორტს და ტურიზმს და სხვა სფეროებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოქმნიან საწარმოებსა და საკუთრების სხვადასხვა ფორმის დაწესებულებებს, რომელთა მოწოდებაცაა მოსახლეობის კულტურული, საგანმანათლებლო, სამედიცინო, სულიერი და სხვა სახის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ასევე მატერიალური კეთილდღეობისა და მომსახურების შექმნის პროცესის დასრულება, მათი მომხმარებლამდე მიტანა.

სოციალურ ინფრასტრუქტურაში შემავალი დარგების თავისებურებებიდან და მათ მიერ გაწეული მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე დარგები შესაძლებელია გაერთიანებული იქნეს ორი კომპლექსის სახით: სოციალურ-კულტურული კომპლექსი; სოციალურ-სამომხმარებლო კომპლექსი.

გარდამავალ პერიოდში სოციალური სფეროს სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს სოციალური სფეროს დარგებისა და საქმიანობის სახეების ფუნქციონირების რეგულირებას სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მიერ. იგი მოიცავს პრინციპების, მეთოდების, სტანდარტებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების დადგენას, საკანონმდებლო ხასიათის ღონისძიებების გატარებას, საფინანსო–საკრედიტო, საინვესტიციო, საგადასახადო და სახელფასო პოლიტიკის რეალიზაციის ისეთი მექანიზმების დამუშავებას, რომლებიც სოციალური სფეროს გაუმჯობესებისკენაა მიმართული.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ბარათაშვილი ე, ჯოლია გ, გრძელიშვილი ნ, მამალაძე ი, სეხნიაშვილი დ, ჩახვაშვილი დ,– ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. თბილისი 2012 წ. I– I I წიგნი.

2) ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2010

3) რეგიონული ეკონომიკა. სარედაქციო კოლეგია ე. ხარაიშვილის ხელმძღვანელობით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2004 წ.

4) გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პერსპექტივები. I საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 22-24 ოქტომბერი, 2008 წ., გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2008 წ.

5) ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 1997 წ.

6) რეგიონალიზაცია, თანამედროვე რეგიონული ეკონომიკური და სოციალური პროცესები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. ქუთაისი, 1-2 მაისი, 2010 წ.

7) Гаврилов А.И. - Региональная экономика и управление. Юнити, Москва 2002 г.

8) Буров М.П. - Система регулирования экономического взаимодеиствия регионов. Издательско-торговая корпорация ,,Дашков и К~.

9) Тургель И.Д. - Региональная экономика и управление. М. 2003 г.

10) Юсупов К.Н. и др. Региональная экономика. Москва, Издательство ,,Кнорус~ 2008,

11) Фетисов Г.Г., Орешин В.П. Региональная экономика, М.: ИНФРА-М.,2006.

12) М.В. Миасникович, Н.Б.Антонова, О.Б.Хорошко – Государственное регулирование социальной сферы. Минск 2001 г.

SOCIAL INFRASTRUCTURE AND ITS MAIN COMPONENTS

E. IVANISHVILI - PhD of GTU

Social infrastructure is a complex of element that provides basic conditions for social sphere function, development and reproduction. It includes healthcare, education, culture, physical culture, sport and tourism and other spheres which in their turn, produce industries and other forms of ownership that provide satisfaction of people's cultural, educational, medical, spiritual and other needs, also creation of material welfare and service and its delivery to customer.

Based on the specifics of social infrastructure fields and their service, these fields may be consolidated in two complexes: social-cultural complex; social-consumer complex.

In transition period state regulation of social sphere includes the regulation of social sphere fields and activity functions by the state and governing bodies. It include principles, methods, standards and organizational structure definition, providing legislative measure, financial-credit, investment, tax and payroll policy realization with the mechanisms that are tend to improve social sphere.